ტარტარენისა და ლუარსაბის შეხვედრა

გათენდა დილა, მშვენიერი დღე იყო ლუარსაბის სახლ კარში, კნეინა წამოხტა, გორვით ჩავიდა კიბეებზე, შევარდა მოსამსახურეების ოთახში და დაიწყო წყევლა კრულვა, მოსმსახურეე-ბი უცებ ადგნენ ჩაიცვეს და კნეინას ხელი რომ არ მოხვედროდათ გარეთ გამოცვივდნენ. ერთმა მოსამსახურემ გაბედა: კნეინა გააჩერა და უთხრა

-ქალბატონო, ქალბატონოოო

-რა გინდა შე სასიკვდილე, შენ ამოწყდი და შენ ჩაგდე მიწაში კუბოს გარეშე ჰაა!

-ქალბატონო წუხელ ღამით ვიღაც მოვიდა და რაღაც ენაზე საუბრობდა, მარტო ეს გავიგე „ტარასკონიდან“ და ეს ფურცელი მომცა.

-რაივოოო ტარასკონიოო, მანახე ერთი აქ ეგ

კნეინამ ფურცელი წაართვა მოსამსახურეს გახია და შიგ კიდევ ერთი ფურცელი დახვდა.

-რა არის კაცო საჩუქარი ერთ ყუთში ვერ უნდა ჩატიო? ოხ დათო დათო, უფფ რა არის რა! ახლა ტარასკონში წასულა ამ ჩვენი ფულით.

კნეინამ იმ ფურცლის გახევა დააპირა მაგრამ დაინახა რომ ზედ რაღაც ეწერა.

აღმოჩნდა რომ ამ ფურცელზე ტარასკონიდან გამოგზავნილი წერილი ეწერა რომლის ავტორი ვინმე ტარტარენი იყო. დარეჯანი მიხვდა რომ ეს წერილი იყო მაგრამ წარმოიქმნა ახალი პრობლემა არც მოსამსახურეებმა და არც ცოლ ქმარმა არ იცოდა კითხვა. დარეჯანი ქმართან ქოშინით ავიდა და ყველაფერი ასე მოუყვა:

-ლუარსაბ ჩემო ტკბილო, შენი ძმა ისევ სხვა ქვეყანაში წასულა.

-რაა? ოხ დათო, ეგ არ მოეშვა ამ ჩემი ფულის ხარჯვას რაა! დაა შენ ეგ საიდან იცი

-აგე წერილი გამოუგზავნია ვიღაცას და ვიფიქრე დათოს გარდა არავინ იზავდა მეთქი, ასევე ეს ვინაც მოიტანა ტარასკონი უხსენებია.

-ტარასკონიი? ვაა მე ეგ არ გამიგია მარა ალბათ დათო დამცინის, ვითომ არ იცის წერა-კითხვა ამ თავშ რომ ვერ ჩავტიე. ისევ ვინმეს უნდა წავაკითხოთ.

ლუარსაბმა მეზობელთან მოსამსახურე გააგზავნა და გადმოაყვანინა, მეზობელი ვინმე ლუიზა გახლდათ ქართული ენის მასწავლებელი, თხოვეს წაგვიკითხეო და მანაც კითხვა დაიწყო

წერილი ტარსკონიდან

ძვირფასო ლუარსაბ მოგესალმები გატყობინებ რომ შევიტყვე საქართველოს კერძოდ კახეთის შესახებ და მინდა რომ ჩამოვიდე, ვინადირო, მადაური ღვინო დავლიო და რა ვიცი ერთი სიტყვით მინდა გავერთო ასევე გავიგე რომ კახეთში თავადი და მდიდარი ბრძანდებით და მინდა რომ გეახლოთ, დღეს მანდ ოთხშაბათია და საღამოს მანდ ვიქნები და თუ მიმიღებთ გამიხარდება.

ადრესანტი:ტარტარენ ტარასკონელი

-რაივოოოო!

შეიცხადა ლუარსაბმა

-კარგი ლუიზა მადლობა შეგიძლია სახლში წახვიდეთ.

-კარგი კარგად

წავიდა თუ არა ლუიზა ატყდა ერთი ალიაქოთი ლუარსაბი გადაირია არიქა სტუმარიო საჭმელი გაამზადეთო, მოსამსახურეებმა უშველებელი მაგიდა ისე გააწყვეს რომ სუფრას ჩიტის რძეც არ აკლდა, გამოეწყო დარეჯანიც დადგა ლუარსაბის ჯერიც, ძლივს ააყენეს ტახტიდან მერე ძლივს ჩააცვეს ახალი პერანგი. ღილები რომ შეუკრეს მუცელმა ბახო დაიძახა და ღილები მიმოფანტა, ძლივს ჩააცვეს დასხდნენ და ლოდინში ბაასი გამართეს:

-ისე ყოჩაღ ამ სტუმარს, ხო ხედავ უცხოელია მაგრამ მაიც კარგად იცის ქართული.

-აბაა მალადეეც.

მოვიდა საღამო და მოვიდა ეტლი რომელიც ლუარსაბის ჭიშკართან გაჩერდა, იქიდან გადმოვიდა ჩასუქებული დაბალი კაცი თოფით და ხანჯლით, ეს ტარტარენი იყო, გაუკვირდა, ჩამოგდებული ჭიშკარი რომ დაინახა დანგრეული სახლი, მარანი, სასიმინდე და ფიცრული, ეგონა შემეშალაო და წამოსვლა დააპირა, ამ დროს ლუარსაბი აივანზე გამოგორდა და დაუძახა.

-ეი შენ, ხო შენ, შენა ხარ ტარტარენიო თუ ვიღაც?

-დიახ მე ვარ, მაგრამ თქვენ ვინ ბრძანდებით?

-მე თავადი ლუარსაბ თათქარიძე ვარ.

-ააა დიახ ზუსტად თქვენთან მოვდიოდი დააა აქ თქვენ ცხოვრობთ?

-დიახ დიახ მობრძანდით.

შეიპატიჟა ლუარსაბმა, ტარტარენმა თამამად შეაბიჯა ეზოში და ლაფში ჩავარდა იქიდან უცებ ამოხტა და მეორეში ჩავარდა ასე ამოთხვრილი ძლივს მივიდა სახლამდე სახლთან რომ მივიდა გაუკვირდა

-თუ ასე მდიდარია ეს კაცი აქაურობა რას გავს ვერავის გააწმენდია, ან ეს წაქცევაზე მყოფი სახლები რა არის, რა სისუფთავე არ არსებოს თუ რა ხდება ვერ გავიგე

-მანდ რას ბუტბუტებ კაცო, ამოდი აქ ამოდი

გადმოსძახა ლუარსაბმა.

ტარტარენი მოიხარა ფეხი შემოიწმინდა და კიბეებს აუყვა, ლუარსაბის დანახვაზე ტანში ჟრუანტელმა დაუარა, მაგრამ მერე თვალი შეაჩვია რადგან თვითონაც ასეთი იყო. სახლში შევიდნენ ორივე და შუამდე რომ მივიდნენ ტარტარენი წაბორძიკდა აგურზე ფეხი წამოკრა და ხალიჩაზე გაიშხლართა, გაჩნდა მტვერის კორიანტელი, ვერავინ მიხვდა რა მოხდა. ბოლოს ტარტარენი წამოდგა და დარცხვენილმა ჩამოიფერთხა სამოსი.

-რა არის კაცო? სად დავეცი? რა მოხდა?

ეს თქვა და ძირს დაიხედა, მერე სახლი მოათვალიერა, ერთადერთი რაც მოეწონა ის იყო, რომ თეთრი სუფრა სავსე იყო საჭმლით და სასმლით, დანარჩენი კი ისევ გაუკვირდა: ვერ გაეგო თავადის სახლში იყო თუ სადღაც მიტოვებულ ქოხში. არ მოეწონა გაჭვარტლული ბუხარი, მონაგავებული ტახტები და ხალიჩა, ამოცვენილი აგურები და გადაწყვიტა სხვასთან წასულიყო.

ბევრი ეხვეწა დარეჯანიც და ლუარსაბიც დარჩენილიყო მაგრამ ტარტარენი თავის სამშობლოში მაინც წამოვიდა, იმ ყველაფრის ნახვის შემდეგ ყველაფრის სურვილი გაუქრა, აღარც ნადირობა უნდოდა და აღარც სმა-ჭამა, გადაწყვიტა ეს ამბავი არავისთვის მოეყოლა რადგან მიხვდა რა ზეგავლენას იქონიებდა ეს ყველაფერი საქართველოზე და ლუარსაბზე იმიტომ რომ ეს ყველაფერი თავის თავზე წარმოიდგინა.

ტარტარენი ტარასკონში დაბრუნებისას ორი-სამი დღე უხასიათოდ იყო და ფიქრობდა, რას იზამდა ის რომ ლუარსაბის ადგილზე ყოფილიყო.

ლუარსაბი ეწვია ტარტარენს

გათენდა კიდევ ერთი არაფრისმომცემი დილა, ტარტარენი ადგა ჩაი დალია დაა ფოსტის შესამოწმებლად გამოვიდა, ამოიღო ყუთიდან: ჟურნალები, კროსვორდები, სურათები ახალი ნერგი და წერილი საქართველოდან, ტარტარენს გაუკვირდა, გადაწყვიტა ეგრევე გაეხსნა ეს წერილი: შიგ ვინმე ლუარსაბი წერდა:

წერილი

ბატონო ტარტარენ ბოდიში მინდა მოგიხადოთ რომ ასეთი დაგხვდით, მე მინდა რომ ეს პირადად მოგახსენოთ, ჩვენი შეხვედრიდან ორი წელი გავიდა და შეიძლება ითქვას რომ შევიცვალე ასე რომ რაც შეიძლება მალე ჩამოვალ შეხვედრამდე.

-აუფ, მოვა ახლა ის გასიებული და ისევ ნერვებს მომიშლის.

ამოიოხრა ტარტარენმა და თავის ფიქრებში გართულმა გაიგონა ჩლიქების ბაკუნი, უკან გაიხედა და დაინახა ბიჭი ლამაზად გამოწყობილი, ცოტა გამხდარი, სუფთად ჩაცმული.

-თქვენ ვინ ბრძანდებით?

იკითხა ტარტარენმა

-მე ვარ ბატონო, ლუარსაბი თათქარიძე.

-რაა? ლუარსაბი? თქვენ? არა ბატონო

-ხოო მე ვარ მე აბა საიდან მეცოდინება ლუარსაბი.

-არ მჯერა ლუარსაბი ჩემზე მსუქანი და ბინძური არის თქვენ კი...არა

-კარგი რა რით დაგაჯერო რომ ლუარსაბი ვარ?

-რით დაა... მითხარი რა ხდებოდა მის სახლში?

-რა ხდებოდა და აგურები ამოცვენილი იყო ბუხარი გაჭვარტლული ტახტები მინაგავებული და ა. შ.

-ვახ ეს მართლაც შენ ხარ, შემოდი, შემოდი, მანდ რას დგახარ.

-კარგი პირველ რიგში ბოდიშს გიხდი და ეს მცირედი საჩუქარი ჩემგან, გავიგე მცენარეები უყვარსო და ეს ვაზი წამოგიღე ციცქა-ცოლიკაურია საუკეთესო.

-ოოო მადლობა ბატონო შემოდი, შემოდი, შემოდი.

-კარგი

ლუარსაბი და ტარტარენი შევიდნენ სახლში ლუარსაბი გაკვირდა ასეთი ლამაზი ბაღით, ასევე გაუკვირდა ჭერში კუდების არმია მაგრამ ხმა არ ამოუღია, მერე ოთახში შევიდნენ, ლუარსაბს მოეწონა იარაღები და სხვა ასეთი ნივთები. ტარტარენმა მას ერთი დამბაჩა და ორი ბოთლი რომი აჩუქა.

იმ დღეს დათვრნენ და ლუარსაბს დარჩენა მოუწია, მეორე დღეს ლუარსაბმა ვეღარ მოითმინა და ჰკითხა:

-ტარტარენ ის ქუდები რას ნიშნავს?

-ოოო ახლავე გეტყვი, ჩვენ ტარასკონელებს ნადირობის გარეშე არ შეგვიძლია ამიტომ ყოველ კვირა დღეს სანადიროდ გავდივართ ეს იმდენჯერ მოხდა რომ ტყეში თაგვი რომ თაგვია ისიც აღარ დარჩა, ამიტომ გადავწყვიტეთ რომ ქუდებისთვის გვესროლა და ეს ტრადიციად ჩამოგვიყალიბდა, მე ყველაზე კარგად ვესვრი და ამიტომ მეფედ დამნიშნეს, ხოო ეს ყველაფერი ამიტომაა, შენდა საბედნიეროდ დღეს კვირაა ამიტომ ჩაიცვი ქუდზე სანადიროდ მივდივართ.

-რაა? კარგი წამოვალ.

ორი ცხენი მოამზადეს და წავიდნენ კარგად მოილხინეს და მერე ქუდები აყარეს, პირველ ორ ცდაზე ლუარსაბმა ვერაფერი მოინადირა მაგრამ მერე იმდენი ქნა რომ მეფის მარჯვენა ხელიც გახდა. იმ საღამოსაც კარგად მოილხინეს.

ლუარსაბმა ტარტარენს სთხოვა:

-მეორე შანსი მომეცი კიდევ ერთხელ მესტუმრე და რასაც ნახავ ის შეაფასე კარგი?

-კარგი, კარგი.

ამის შემდეგ ერთმანეთს დაემშვიდობნენ და ლუარსაბი სახლში დაბრუნდა.